აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

1 მარტი, 2018

დადგენილება №62(17/18)
„აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე

დებულება - „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ" დამტკიცდეს თანდართული ფორმით.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
უნივერსიტეტის რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე

დანართი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში

დოქტორანტურის წარმართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრის შესახებ

ეს დებულება განსაზღვრავს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის, დოქტურანტურის წარმართვის ძირითად პრინციპებს ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო დებულებით განსაზღვრავს დამატებით მოთხოვნებს.

მუხლი 1. დოქტორანტურა

1.1. "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, დოქტორანტურა არის უმაღლესი განათლების მესამე საფეხური, სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობა, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.
1.2. დოქტორანტურა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს.
1.3. დოქტორანტი არის პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში.
1.4. დოქტორი უმაღლესი აკადემიური ხარისხია, რომელიც აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის კურსდამთავრებულს ენიჭება სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის სემდეგ დაცვის შემდეგ.

მუხლი 2. სადოქტორო პროგრამის შემუშავება და ხელმძღვანელი

2.1. სადოქტორო პროგრამის შემუშავება ხდება:
• ფაკულტეტის(ფაკულტეტების) ერთი ან რამდენიმე პროფესორის მიერ;
• პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთად;
• სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულებასთან ერთად – უნივერსიტეტსა და ამ დაწესებულებას შორის დადებული სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.

2.2. სადოქტორო პროგრამას ხელმძღვანელობს:
●აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
● აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
● აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი;
● საქართველოს აკრედიტებული უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც არის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი;
● საზღვარგარეთის მაღალრეიტინგული უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც არის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი.

2.3. სადოქტორო პროგრამას განიხილავენ ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფაკულტეტის საბჭო. დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში სადოქტორო

პროგრამა წარედგინება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფია სამსახურს. ხარისხის უზრუნვეყოფის სამსახურის მიერ დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში სადოქტორო პროგრამა დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

2.4. სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს:

- უნივერსიტეტის სრული ან ასოცირებული პროფესორი;
- პარტნიორი სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულების მეცნიერი;
- სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი.

მუხლი 3. სადოქტორო პროგრამის კომპონენტები

3.1. დოქტორანტმა უნდა აითვისოს 180 კრედიტი. სადოქტორო პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. დოქტორანტურაში სასწავლო კომპონენტი შეადგენს კრედიტების საერთო რაოდენობის 1/3, დანარჩენი 2/3 ეთმობა კვლევით კომპონენტს. სასწავლო კომპონენტი მოიცავს შემდეგ მოდულებს:

- დარგობრივი კურსები(50 კრედიტი);
- შესაბამისი დარგის სწავლების კურსი და პედაგოგიური პრაქტიკა(10 კრედიტი).

3.2. დოქტორანტურის სასწავლო კომპონენტი გულისხმობს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას და მასში შედის:

- დარგობრივი კურსებისგან შემდგარი მოდული, რომელიც გულისხმობს სადისერტაციო თემიდან გამომდინარე სპეციალური და მომიჯნავე საგნის გაღრმავებულ შესწავლას, დარგობრივი კურსები აუცილებლად მოიცავს დარგის კვლევის თანამედროვე მეთოდებს;
- სწავლების თანამედროვე მეთოდების მოდული, რასაც მოსდევს დოქტორანტის ჩართვა სწავლების პროცესში (პროფესორის ხელმძღვანელობით ლექციებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება). ამ კომპონენტის დასრულების შემდეგ დოქტორანტი ფასდება იმ პროფესორის მიერ, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა წარმოდგენილ მოდულს.

3.3. კვლევითი კომპონენტისათვის გათვალისწინებული 120 კრედიტის ათვისება დასტურდება სადისერტაციო ნაშრომის წარმატებულად დაცვის შედეგად. სადისერტაციო ნაშრომის სადისერტაციო კომისიის წინაშე საჯარო დისკუსიაზე გატანის წინაპირობებია შემდეგი:

1. სადოქტორო პროგრამით სასწავლო კომპონენტისათვის გათვალისწინებული 60 კრედიტის ათვისების დამადასტურებელი კრებსითი უწყისის წარდგენა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში. კრებსით უწყისს გასცემს დოქტორანტურის განყოფილება და ხელს აწერენ უნივერსიტეტის რექტორი და დოქტორანტურის განყოფილების უფროსი;
2. სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტით გათვალისწინებული არანაკლებ ორი კოლოქვიუმის შესრულების ოქმის წარდგენა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში. კოლოქვიუმების შესრულება დასტურდება დოქტორანტურის

განყოფილების მიერ გაცემული ცნობით არანაკლებ ორი კოლოკვიუმის შესრულების შესახებ, ცნობას ხელს აწერენ უნივერსიტეტის რექტორი და დოქტორანტურის განყოფილების უფროსი. კოლოქვიუმების შეფასების მეთოდიკა განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მე–4 მუხლის მე–17 პუნქტით. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 17 ივლისი №57(16/17) დადგენილებით;

3. ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების მიერ განსაზღვრული პუბლიკაციების რაოდენობა, ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების მიერ დამტკიცებულ გამოცემებში, რომლებიც დასტურდება სტატიის წარდგინებით; დისერტანტმა შეიძლება წარმოადგინოს მონოგრაფიაც. მონოგრაფიაა სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებული პრობლემატიკის აღწერის, მათი გადაწყვეტის გზებისა და მეთოდების, მიღწეული კვლევითი შედეგების გამოცემა ბეჭდვითი სახით. ISBN, ISSN, არანაკლებ 100 ეგზემპლარი. ცნობა სტამბიდან, გადახდის ქვითარი;
4. ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების მიერ განსაზღვრული რაოდენობის კონფერენციებში მონაწილეობა და სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული მოხსენების წარდგენა, რისი შესრულებაც დასტურდება შესაბამისი ნაშრომის გამოქვეყნებით კონფერენციის შრომების კრებულში და მისი წარმოდგენით;
5. ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების მიერ განსაზღვრული რაოდენობის სტატიების ანონიმი ექსპერტის მიერ შეფასება;
6. დასრულებული სადისერტაციო ნაშრომის განხილვა დეპარტამენტის სპეციალურ სხდომაზე;
7. ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების მიერ ოფიციალური ექსპერტების გამოყოფა, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება რექტორს; ოფიციალური ექსპერტების რაოდენობა და მათი შრომის შინაარსი განისაზღვრება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის №1 დადგენილებით მუხლი 19;
8. ოფიციალური ექსპერტების დადებითი შეფასების შემთხვევაში ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოების მიერ 2 ან 3 შემფასებლის (რეცენზენტის) გამოყოფა, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება რექტორს; თუ ვინ შეიძლება იყოს ოფიციალური შემფასებელი (რეცენზენტი) და ოფიციალური შემფასებელის (რეცენზენტის) შრომის შინაარსი განისაზღვრავრება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის №1 დადგენილებით მუხლი 20 და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №40(14/15) დადგენილებით; თუ შემფასებელთა ნახევარზე მეტი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, დისერტაცია დაცვაზე დაშვებული არ იქნება; ორი შემფასებლიდან ერთის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო 10 დღის ვადაში გამოყოფს მესამე შემფასებელს;
9. ოფიციალური შემფასებლების (რეცენზენტების)დადებითი შეფასების შემთხვევაში დისერტანტს უფლება ეძლევა დისერტაციო გაიტანოს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ გამოყოფილი სადისერტაციო კომისიის წინაშე საჯარო განხილვისათვის, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ გამოყოფილი სადისერტაციო კომისია დასამტკიცებლად წარედგინება რექტორს; სასდისერტაციო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2007 წლის 5 სექტემბრის №1 დადგენილების მუხლი 21 - ით., აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ნოემბრის № 17

(09/10)დადგენილებით, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 7 მაისის №61 (14/15), აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ნოემბრის № 17 (09/10) დადგენილებით;

10. სადისერტაციო კომისიის მიერ სადისერტაციო ნაშრომის შეფასების წესი განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების2017 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მე–4 მუხლის მე–17 პუნქტით, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2009 წლის 6 ნოემბრის № 17 (09/10) დადგენილებით;
11. სადისერტაციო ნაშრომის წარმატებულად დაცვის შემთხვევაში ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს პროექტს დისერტანტისათვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

უნივერსიტეტის რექტორის მიერ აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ ბრძანების გამოცემის შემთხვევაში კვლევითი კომპონენტის 120 კრედიტი ითვლება ათვისებულად.

3.3'. დოქტორანტის კვლევითი კომპონენტის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია კოლოკვიუმი. კოლოკვიუმი წარმოადგენს დოქტორანტის კვლევის შედეგების პრეზენტაციას, დოქტორანტის საქმიანობის სფეროში ახალი სამეცნიერო მიღწევების, პრობლემების, ლიტერატურის შეფასება-განხილვას, რასაც მოყვება სამეცნიერო დისკუსია. დოქტორანტი ვალდებულია სწავლების მეორე და მესამე წელს არანაკლებ ორჯერ მაინც გააკეთოს კოლოკვიუმზე პრეზენტაცია,მასთან სწავლების მეორე წელს არაუმეტეს ერთი კოლოკვიუმისა. კოლოქვიმის შესაფასებლად გამოიყოფა ერთი ან ორი რეცენზენტი, მათი დადებთი რეცენზიის შემთხვევაში გამოიყოფა კომისია არანაკლებ 3 და არაუმეტეს 5 წევრის შემადგენლობით. კომისიის თითოეული წევრი კოლოკვიუმს აფასებს ან დადებითად ან უარყოფითად. კოლოქვიუმი ითვლება შესრულებულად თუ მას დადებითად შეაფასებს კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.

მუხლი 4. დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმა

- დოქტორანტის ინდივიდუალურ გეგმას ადგენს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი დოქტორანტთან შეთანხმებით. ინდივიდუალურ გეგმაში მოცემული უნდა იყოს კვლევის მიზანი, სადისერტაციო თემის მოკლე აღწერა, სასწავლო კომპონენტის შესრულების და კვლევის სავარაუდო გრაფიკი.

მუხლი 5. დოქტურანტურაში ჩაბარების ვადები

- დოქტორანტურაში მიღება ცხადდება შემოდგომის სემესტრისათვის.

მუხლი 6. დოქტორანტურის ხანგრძლივობა

დოქტორანტურაში სწავლის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 და არაუმეტეს 5 წელი.

მუხლი 7. დოქტორანტურაში მიღების წინაპირობები

- 7.1. დოქტორანტურაში ჩაბარების უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს შესაბამის დარგში.
  7.2. დოქტორანტურაში სწავლის უფლება შეიძლება მიენიჭოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.
  7.3. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება გერმანული, ინგლისური ან ფრანგული ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამაზე „შეპირისპირებითი ლინგვისტიკა" შემომსვლელ პირებს უფლება მიეცეთ მეორე უცხო ენად ჩააბარონ გერმანული, ფრანგული ან რუსული ენა.
  7.5. დოქტორანტობის კანდიდატი, თუ მას ქართულენოვან პროგრამაზე სურს სწავლა და ქართული მისი მშობლიური ენა არ არის, წარმოადგენს ქართული ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს.
- 7.6. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დადგენილებით და სადოქტორო პროგრამებით შეიძლება დადგენილ იქნეს დამატებითი მოთხოვნები.

მუხლი 8. განაცხადი

დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველს წერილობითი განაცხადი შეაქვს რექტორის სახელზე. განაცხადს თან უნდა ერთვოდეს:

● განმცხადებლის ავტობიორასფია(CV);

● პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი დედანთან ერთად;

● სავარაუდო სამეცნირო ხელმძღვანელის სარეკომენდაციო წერილი;

●მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან აპოსტიკლით დამოწმებული დიპლომი

● ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან აპოსტიკლით დამოწმებული დიპლომი შემთხვევაში დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველმა უნდა წარმოადგინოს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ გაცემული ცნობა;

● საბუთების მიღებიდან 6 თვის განმავლობაში დოქტორანტურაში ჩარიცხულმა პირმა უნდა წარმოადგინოს ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან აპოსტიკლით დამოწმებული დიპლომი, წინააღმდეგ შემთხვევაში დოქტორანტს შეუჩერდება სტატუსი;

● ჩარიცხვის კანდიდატმა რექტორის სახელზე უნდა წარადგინოს განაცხადი სადოქტორო პროგრამის მითითებით;

● სამეცნიერო აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (შრომები, კონფერენციებში მონაწილეობა) ასეთის არსებობის შემთხვევაში;

● თუკი დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატს არა აქვს სამეცნიერო შრომები, მაშინ მან უნდა წარმოადგინოს შესაბამის დარგში დაწერილი რეფერატი.

მუხლი 9. დოქტურანტურაში ჩარიცხვის წესი

9.1. დოქტორანტობის კანდიდატი წარმოადგენს განაცხადს და გადის გამოცდებზე სადისერტაციო საბჭოს დებულებით დადგენილი წესით სპეციალობასა და უცხო ენაში (B2 დონის დამადასტურებელი დიპლომის ან სერტიფიკატის არქონის შემთხვევაში).

9.2. საგამოცდო კომისიების დადებითი გადაწყვეტილებისა და რანჟირებული სიების დადგენის შემდეგ უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს დოქტორანტურაში კანდიდატის დოქტორანტად ჩარიცხვის შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

9.3. უნივერსიტეტი, დოქტორანტი და სამეცნიერო ხელმძღვანელი ჩარიცხვიდან არაუგვიანეს ორ თვისა ხელს აწერენ ხელშეკრულებას, რომელიც განსაზღვრავს ყველა მხარის ვალდებულებებსა და უფლებებს. ხელშეკრულების ნაწილია დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმა.

მუხლი 10. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

10.1. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს დოქტორანტს სამეცნიერო ხელმძღვანელით, უქმნის პირობებს სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული სამუშაოს ჩასატარებლად.

10.2. სამეცნიერო ხელმძღვანელი კონტროლს უწევს ინდივიდუალური გეგმის შესრულებას.

10.3.დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სადისერტაციო საბჭოს წევრი, რომელიც აკმაყოფილებს ერთ-ერთს მაინც ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან:

●არის ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლის სრული პროფესორი ან ემერიტუსი;

●არის ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლის ასოცირებული პროფესორი და ფლობს მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხს;

●არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ან ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლის მთავარი მეცნიერ - თანამშრომელი;

●არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ან ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებლის უფროსი მეცნიერ - თანამშრომელი და ფლობს მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხს;

● არის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის განსაკუთრებული რანგით მოწვეული სპეციალისტი და ფლობს მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხს;

● გამონაკლის შემთხვევაში სამეცნიერო ხელმძღვანელად შეიძლება დაინიშნოს ასოცირებული პროფესორი მისთვის აკადემიური საბჭოს მიერ მინიჭებული ერთჯერადი უფლებით.

10.4. სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და მნიშვნელოვანი პუბლიკაციები.
10.5. ერთი პროფესორი ერთდროულად შეიძლება იყოს არაუმეტეს სამი დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

10.6. იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო ხელმძღვანელი უარს ამბობს ხელმძღვანელობაზე, ამის შესახებ მან სწავლის ნებისმიერ ეტაპზე დასაბუთებული განცხადება უნდა წარუდგინოს სადისერტაციო საბჭოს.

10.7. სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ აწსუ-ში დაკავებული აკადემიური თანამდებობის დატოვება არ იწვევს დოქტორანტის ხელმძღვანელობაზე უარის თქმას, თუ თანამდებობის დატოვების შემდეგ ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო უახლოეს სხდომაზე მიიღებს გადაწყვეტილებას ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მისი მოწვევის შესახებ. ამ შემთხვევაში უნივერსიტეტს,სამეცნიერო ხელმძღვანელსა და დოქტორანტს შორის ხელი მოეწერება ახალ ხელშეკრულებას, რომლითაც მხარეების ვალდებულების გარდა, განისაზღვრება ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურების პირობები.

10.8. თუკი სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას გამოიკვეთა ისეთი ახალი სამეცნიერო ასპექტები, რომელთა გადაჭრის პროცესში საჭიროა მონაწილეობდეს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილების მქონე სხვა პირი, მაშინ ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს არგუმენტირებული მოთხოვნის საფუძველზე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით მეორე ან მესამე წლის დოქტორანტს შეიძლება დაენიშნოს თანახელმძღვანელი. თანახელმძღვანელი უნდა იყოს შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი, რომელსაც სადისერტაციო ნაშრომის მიმართულებით ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 3 ნაშრომისა მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში. დამატებით პირობებს თანახელმძღვანელის მიმართ, ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში, ადგენს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 11. დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტა

სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორანტს შეიძლება, დოქტორანტის სტატუსი შეუწყდეს:
- პლაგიატის ან მონაცემების გაყალბების დადასტურების შემთხვევაში;
- უნივერსიტეტს, დოქტორანტსა და სამეცნიერო ხელმძღვანელს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისას.

მუხლი 12. სადოქტორო პროგრამის დაფინასება

დოქტორანტურის დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო გრანტის, საუნივერსირტეტო დაფინანსების, სტიპენდიების, ქველმოქმედებისა და თვითდაფინანსების ფორმით.

მუხლი 13. სადისერტაციო საბჭო

13.1. სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება ფაკულტეტზე.

13.2. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის ყველა პროფესორი და ასოცირებული პროფესორი. სადისერტაციო საბჭოს არგუმენტირებული შუამდგომლობის საფუძველზე აკადემიური საბჭოს თანხმობით სადისერტაციო საბჭოში შეიძლება შეყვანილი იქნას დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არ არის ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი. სადისერტაციო საბჭოში შესაყვანად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

- დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის დამოწმებული ასლი;
- ცნობა სამუშაო ადგილიდან, რომელიც ადასტურებს კანდიდატის მიერ დაკავებულ აკადემიურ თანამდებობას.
- CV

13.3. სადისერტაციო საბჭო ირჩევს თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან 3 წლის ვადით, წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით,რომელსაც ამტკიცებს აკადემიური საბჭო. ერთი და იგივე პირი ერთსა და იმავე ფაკულტეტზე თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. თავმჯდომარის არჩევამდე საბჭოს პირველ სხდომას უძღვება ფაკულტეტის დეკანი.

13.4. სადისერტაციო საბჭოს მდივანს (საბჭოს შემადგენლობიდან) წარადგენს თავმჯდომარე და ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო. მდივნის უფლებამოსილების ვადაა 3 წელი.

13.5. სადისერტაციო საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს ფაკულტეტის საბჭოს მიერ შემუშავებული და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

13.6. სადისერტაციო საბჭოს სხდომის მიმდინარეობა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

13.7. სადისერტაციო საბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილება დოქტორანტს უნდა ეცნობოს წერილობით.

მუხლი 14.

სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილება

სადისერატციო საბჭო:

ა) ირჩევს და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს; ბ) ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს მდივანს; გ) ადგენს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის კანდიდატურას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს; დ) ადგენს დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის თემას და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს; ე) წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად სადისერტაციო ნაშრომის დაცვის თარიღს; ვ) წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად სადისერტაციო ნაშრომის შემფასებლებს (რეცენზენტებს); ზ) წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად სადისერტაციო კომისის შემდგენლობას; თ)სადისერტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს დოკუმენტს დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

მუხლი 15. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილება

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე საჭიროებისამებრ იწვევს და უძღვება საბჭოს სხდომებს.

მუხლი 16. სადისერტაციო საბჭოს მდივნის უფლებამოსილება

სადისერტაციო საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს საბჭოს ორგანიზაციულ საქმიანობას.

მუხლი 17. სადისერტაციო ნაშრომი

17.1. სადისერტაციო ნაშრომი უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული (ემპირიული) კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს, რომელსაც წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში.

17.2. თუ დოქტორანტი კვლევით ჯგუფშია ჩართული, ნათლად უნდა ჩანდეს მისი წვლილი.

17.3 დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე. მას უნდა ახლდეს დისერტაციის ძირითადი დებულებების ამსახველი მოკლე ვერსია (**ავტორეფერატი**) ქართულ და ერთ-ერთ ევროპულ ენებზე.

17.4. განსაკუთრებულ შემთხვევებში სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

17.5. ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში კვლევის ძირითადი შედეგები წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზეც.

17.6. სადისერტაციო ნაშრომის მოცულობას, ფორმატს და სხვა მონაცემებს განსაზღვრავს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო სათანადო დებულებით.

მუხლი 18. სადისერტაციო ნაშრომის წარდგენა

18.1. სადისერტაციო ნაშრომი და ავტორეფერატი საბჭოს გადაეცემა ოთხ აკინძულ და ერთ ელექტრონულ ეგზემპლარად.

18.2. სადისერტაციო ნაშრომთან ერთად დოქტორანტმა უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

● სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული 60 სასწავლო კრედიტის დაგროვების დამადასტურებელი დოკუმენტი;

● გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ამონაბეჭდი;

● სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული გამოგონების (თუ ასეთი არსებობს) დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი;

● სამეცნიერო სემინარებისა და ფორუმების ნუსხა, სადაც მოხსენებულ იქნა სადისერტაციო ნაშრომის დებულებები თუ შედეგები.

18.3. დისერტაციის დაცვაზე დასაშვებად აუცილებელია დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნა იმის შესახებ, რომ ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვაზე წარსადგენად.

18.4. წარმოდგენილი უნდა იქნას დოქტორანტურის განყოფილების მიერ გაცემული9 ცნობა კოლოკვიუმების ჩაბარების შესახებ.

18.4. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულ უნდა იქნეს დაცვამდე, არანაკლებ სამი სამეცნიერო ნაშრომის სახით რეცენზირებად ჟურნალებში. რეცენზირებადი ჟურნალების ნუსხას ადგენს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო. ნაშრომთაგან ორმა მაინც უნდა გაიაროს საერთაშორისო რეცენზირება.

18.5. სამეცნიერო ნაშრომის ანონიმ რეცენზენტს გამოეწეროს ანაზღაურება - 50 ლარი.

მუხლი 19. საექსპერტო კომისია

19.1. სადისერტაციო საბჭო დისერტაციის წინასწარ განსახილველად უნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს საექსპერტო კომისიას არაუმეტეს 3 წევრის რაოდენობით, რომელსაც ევალება: ა) სადისერტაციო ნაშრომის და ავტორეფერატის შესაბამისობის დადგენა სადისერტაციო საბჭოს მოთხოვნებთან; ბ) სადისერტაციო ნაშრომის საჯაროდ განხილვის უზრუნველყოფა
19.2. საექსპერტო კომისიაში შეიძლება შევიდეს სადისერტაციო თემის შესაბამისი დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი,რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი გამოკვლევები სადისერტაციო თემის მიმართულებით.

19.3. სადისერტაციო ნაშრომის განხილვა ტარდება საექსპერტო კომისიის მიერ განსაზღვრულ სამეცნიერო სემინარზე აწსუ-ში ან პარტნიორ სასწავლო ან სამეცნიერო დაწესებულებაში.

19.4. საექსპერტო კომისიამ დასკვნა უნდა წარმოადგინოს 45 დღის ვადაში.

19.5. საექსპერტო კომისიის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში დისერტანტს ეძლევა უფლება 6 თვის ვადაში ხელახლა წარადგინოს დისერტაციის შესწორებული ვარიანტი.

19.6. სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან მოწვეულ სადისერტაციო ნაშრომის ექსპერტს გამოეწეროს ანაზღაურება - 150 ლარი.

მუხლი 20. სადისერტაციო ნაშრომის წინასწარი შეფასება

20.1. საექსპერტო კომისიის დადებითი დასკვნის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან და დეკანთან შეთანხმების შემდეგუნივერსიტეტის რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს ორ ან სამ შემფასებელს (რეცენზენტს), რომელთაც ეგზავნებათ დისერტაცია და ავტორეფერატი. შემფასებლები სადისერტაციო საბჭოს წარუდგენენ სადისერტაციო ნაშრომის წერილობით შეფასებას (რეცენზიას) ნაშრომის მიღებიდან არა უგვიანეს 2 თვისა.

20.2. შემფასებლად (რეცენზენტად) ინიშნება სადისერტაციო ნაშრომიოს თემატიკის შესაბამისი მიმართულების დოქტორის აკადემიური ხარისხის (ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის) მქონე პირი, რომელიც აკმაყოფილებს ერთ-ერთს მაინც ქვემოთჩამოთვლილი პირობებიდან:

● არის ავტორიზებული უნივერსიტეტის პროფესორი;

●არის ავტორიზებული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და ფლობს მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხს;

● არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი-თანამშრომელი;

● არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი-თანამშრომელი და ფლობს მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხს;

● არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი ან წევრ-კორესპოდენტი;

●არის საზღვარგარეთის მაღალრეიტინგული უნივერსიტეტის პროფესორი;

● არის ავტორიზებული უნივერსიტეტის ემერიტუსი.

20.2'. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს არგუმენტირებული მოთხოვნის საფუძველზე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთ რეცენზენტად (შემფასებლად) შეიძლება დაინიშნოს ავტორიზებული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ან ავტორიზებული უნივერსიტეტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (აკადემიური დოქტორი), რომელსაც სადისერტაციო ნაშრომის მიმართულებით ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 3 ნაშრომისა მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში

20.3. შემფასებელი არ შეიძლება იყოს დისერტანტის მიერ შესრულებულ ნაშრომთა თანაავტორი, იმ სამეცნიერო ჯგუფის წევრი, სადაც შესრულდა სადოქტორო პროგრამა, აგრეთვე იმ ქვედანაყოფის წევრი, სადაც მუშაობს დისერტანტი ან დისერტანტზე თანამდებობრივად დამოკიდებული პირი.

20.4. დაუშვებელია, რომ შემფასებლები იყვნენ ერთი ორგანიზაციის ერთი და იგივე ქვედანაყოფის თანამშრომლები.

20.5. რეცენზია სადისერტაციო ნაშრომის შეფასებასთან ერთად უნდა შეიცავდეს შესაბამის რეკომენდაციას ნაშრომის დაცვაზე დაშვების, ან შესასწორებლად დოქტორანტისათვის უკან დაბრუნების, ანდა დაცვაზე უარის თქმის შესახებ.

20.6. თუ შემფასებელთა ნახევარზე მეტი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, დისერტაცია დაცვაზე დაშვებული არ იქნება.

20.7. ორი შემფასებლიდან ერთის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო 10 დღის ვადაში გამოყოფს მესამე შემფასებელს.

20.8. შემფასებლებმა თავიანთი წერილობითი დასკვნა უნდა წარმოადგინონ დისერტაციის წარდგენიდან არაუგვიანეს 2 თვისა. მესამე შემფასებლის დანიშვნის შემთხვევაში მას ნაშრომის შეფასებისათვის ეძლევა 1 თვე.

20.8.' სადისერტაციო ნაშრომის რეცენზენტს (შემფასებელს) გამოეწეროს ანაზღაურება
- 250 ლარი.

20.9. თუ დისერტაცია არ იქნება დაშვებული დაცვაზე, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს უფლება ეძლევა დამატებით იმუშაოს დისერტაციაზე და ხელახლა წარუდგინოს საბჭოს 1 წლის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში დოქტორანტი დაცვაზე აღარ დაიშვება.

20.9. თუ დისერტაცია არ იქნება დაშვებული დაცვაზე, სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დოქტორანტს უფლება ეძლევა დამატებით იმუშაოს დისერტაციაზე და ხელახლა წარუდგინოს საბჭოს 1 წლის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში დოქტორანტი დაცვაზე აღარ დაიშვება.
20.10. შესწორებული ნაშრომის ისევ უარყოფითად შეფასების შემთხვევაში დოქტორანტის ნაშრომი არ მიიღება დასაცავად.

მუხლი 21. სადისერტაციო კომისია

21.1. რეცენზენტების მიერ სადისერტაციო ნაშრომის დასაცავად დაშვების შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელთან და დეკანთან კონსულტაციით სადისერტაციო ნაშრომის დაცვის წარმართვის მიზნით ქმნის სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.
21.1.' სხვა იმაღლესი სასწავლებლებიდან მოწვეულ სადისერტაციო კომისიის წევრს გამოეწეროს ანაზღაურება - 130 ლარი.
21.2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის ვიზირების შემდეგ გამოიცემა ავტორეფერატი და ეგზავნება სადისერტაციო საბჭოს დებულებით განსაზღვრულ ადრესატებს.

21.3. სადისერტაციო კომისია იქმნება მინიმუმ 6 და მაქსიმუმ 12 პირის შემადგენლობით, რომელთაც აქვთ ხმის მიცემის უფლება.
21.4. სადისერტაციო კომისია უფლებამოსილია გაეცნოს სადისერტაციო ნაშრომთან დაკავშირებით შემოსულ წერილობით გამოხმაურებებს.

21.5. სადისერტაციო კომისიის წევრად არჩეული უნდა იქნას შესაბამისი დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის (ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის) მქონე სპქციალისტი. კომისიის წევრთა არანაკლებ 2/3 უნდა აკმაყოფილებდეს ერთ-ერთს მაინც მე-20 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილ პირობებს შორის. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია კომისიის წევრთა არანაკლებ 1/2 აკმაყოფილებდეს ერთ-ერთს მაინც მე-20 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილ პირობებს შორის. სამეცნიერო ხელმძღვანელი და შემფასებლები (რეცენზენტები) კომისიის მუშაობაში მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით. სადისერტაციო კომისის შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე დარგის სპეციალისტებიც, რომლებიც არ არიან ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრები. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობის არანაკლებ 1/3 - სა უნდა იქნეს სადისერტაციო საბჭოს წევრი. იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მიზეზების გამო ზემოაღნიშნული პრინციპებით სადისერტაციო კომისიის კომპლექტაცია შეუძლებელია, საკითხს შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით წყვეტს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
21.5'. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან და კვლევითი დაწესებულებებიდან მოწვეული არანაკლებ ორი პირი, რომლებიც არა არიან ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრები.

21.6. სადისერტაციო კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე , რომელიც შეიძლება იყოს პირი, რომელიც აკმაყოფილებს მე-20 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილ პირობებს შორის ერთ-ერთს მაინც. თავმჯდომარე არ შეიძლება იყოს სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელი

21.7. სადისერტაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს კომისიის შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

21.8. დოქტორანტი სადისერტაციო კომისიის დამტკიცების შემდეგ ერთი კვირის ვადაში უზრუნველყოფს კომისიის თითოეულ წევრს სადისერტაციო ნაშრომით და ავტორეფერატით.

მუხლი 22. დისერტაციის დაცვა

22.1. დისერტაციის დაცვა არის საჯარო .

22.1'. დისერტაციის დაცვა ხდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც დოქტორანტი დაასრულებს მასზე მუსაობას.

22.1'' დისერტაციის დაცვა ინიშნება სადისერტაციო კომისიის დამტკიცებიდან არაუადრეს 4 კვირის ვადაში. დაცვის თარიღს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს უნივესიტეტის რექტორი.

22.2. დაცვის ენა არის ქართული, თუ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

22.3. დაცვის მსვლელობა და მიღებული გადაწყვეტილება აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

22.4. დისერტაციის დაცვა შედგება შემდეგი პროცედურებისაგან:

- დოქტორანტის მოხსენება (არა უმეტეს 30 წუთისა);
- რეცენზიების საჯაროდ წაკითხვა შემფასებლების მიერ;
- სამეცნიერო დისკუსია;
- სადისერტაციო კომისიის დახურული სხდომა – სადისერტაციო ნაშრომის შესაფასებლად;
- სადისერტაციო ნაშრომის შეფასების გამოცხადება.

22.5.დისერტაციის დაცვის მოწყობა შესაძლებელია ერთი რეცენზენტის საპატიო მიზეზით დაუსწრებლობის შემთხვევაში,თუ მისი რეცენზია დადებითია.თუ რეცენზენტი,რომლის შეფასება უარყოფითია, დაცვას ვერ ესწრება, დაცვა გადაიდება.

22.6. კომისიის ერთ სხდომაზე შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი დისერტაციის დაცვა.

22.7. დისერტაციების დაცვები ტარდება აკადემიური წლის განმავლობა, თითოეულ ფაკულტეტზე თვეში არაუმეტეს ორჯერ.

22.8. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა უნდა მოხდეს ნაშრომის სადისერტაციო საბჭოში წარდგენის დღიდან 6 თვის განმავლობაში.

მუხლი 23. სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება

23.1 დისერტაციის შეფასების კრიტერიუმებს ადგენს სადისერტაციო საბჭო.
23.2. სადისერტაციო ნაშრომი ფასდება სადისერტაციო კომისიის მიერ დახურულ სხდომაზე სამეცნიერო დისკუსიის დასრულების შემდეგ. დისერტაციისა და დაცვის შეფასებების საფუძველზე სადისერტაციო კომისია ღებულობს საბოლოო შეფასებას.

23.3. ადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემით:

ა) ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
გ) კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
დ) საშუალო (bene) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

23.4. კომისიის თითოეული წევრი დისერტაციას აფასებს ამ მუხლის მე-3 პუნქტში მოყვანილი სისტემით. ამ შეფასებების საფუძველზე დისერტაციის საბოლოო შეფასების განსაზღვრა ხდება დანართში მოყვანილი წესის მიხედვით (იხ.დანართი 1)

23.5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის

●„ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საბოლოო შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი;

●„ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საბოლოო შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება;

●„ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საბოლოო შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

მუხლი 24. დისერტაციის გამოქვეყნება

დოქტორანტი ვალდებულია დისერტაციის დაცვის შემდეგ, 6 თვის ვადაში, გამოაქვეყნოს დისერტაცია ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით. წინააღმდეგ შემთხვევაში მასზე დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი (მოწმობა) არ გაიცემა.

მუხლი 25. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

მუხლი 26. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი

26.1 აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას ადასტურებს დიპლომი.

26.2. დიპლომი გაიცემა არა უგვიანეს ექვსი თვის ვადაში დისერტაციის დაცვის შემდეგ. დიპლომის გაცემამდე დოქტორანტს ეძლევა შესაბამისი ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.
26.3. დიპლომში აღნიშნულია სადისერტაციო საბჭოს დასახელება, დაცვის თარიღი, საერთო შეფასება და სპეციალობის დასახელება.

26.4. დიპლომი გაიცემა დისერტაციის გამოქვეყნების შემდეგ. დიპლომს ხელს აწერს უნივერსიტეტის რექტორი, ფაკულტეტის დეკანი, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე. დიპლომი დასტურდება უნივერსიტეტის ბეჭდით.

26.4.’ სადისერტაციო ნაშრომის დაცვიდან არაუგვინეს ორი კვირისა სადისერტაციო ნაშრომი უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის საიტზე.

26.5. დიპლომი გაიცემა დისერტაციის სადისერტაციო ნაშრომის დაცვიდან არუადრეს 3 თვისა.
26.6. დიპლომის ასლი ინახება უნივერსიტეტის არქივში.

მუხლი 27. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა

დოქტორის აკადემიური ხარისხი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით დოქტორს ჩამოერთმევა აკადემიური პატიოსნების ნორმების (სადისერტაციო ნაშრომში გაყალბებული მონაცემების გამოყენება ან პლაგიატი) დარღვევის შემთხვევაში.

დანართი 1.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების მეთოდიკა: ა) კომისიის თითოეული წევრი ნაშრომს აფასებს ზემოთმოყვანილი სისტემით; ბ)სადისერტტაციო კომისიის წევრთა შეფასებებს შეესაბამება რიცხვები1-დან 7-მდე,შეაბამისობის შემდეგი სქემით: 1-„სრულიად არადამაკმაყოფილებელი“, 2-„არადამაკმაყოფილებელი“, 3- „დამაკმაყოფილებელი“, 4- „საშუალო“, 5-„კარგი“, 6- „ძალიან კარგი“, 7- „ფრიადი“; გ) გამოითვლება აღნიშნული რიცხვების საშუალო არითმეტიკული E_0; დ) E განისაზღვრება, როგორც E_0 - თან უახლოესი ნატურალური რიცხვი (თუ E_0 არის $n,5$ სახის, მაშინ E განისაზღვრება $n+1$ - ის ტოლად; ე) საბოლოო შეფასება არის E რიცხვის შესაბამისი შეფასება ბ) პუნქტში მოცემული სქემის მიხედვით, თუ კომისიის წევრთა არანაკლებ 2/3 - ისა ნაშრომს შეაფასებს დადებითად (ე.ი. არ შეაფასებს „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“ - ით ან „არადამაკმაყოფილებელი“ - ით); ვ) საბოლოო შეფასება არის „არადმაკმაყოფილებელი“, თუ კომისიის წვრთა 1/3-ზე მეტი ნაშრომს შეაფასებს უარყოფითად და $E \geq 2$; ზ) საბოლოო შეფასება არის „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“, თუ კიმიისიის წევრთა 1/3 - ზე მეტი ნაშრომს შეაფასემს უარყოფითად და $E = 1$.